ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 890 20-33-05
877 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №146

3 ივნისი 2013 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროსათვის“ (ს/კ-441993648) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის ,საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის N32 დადგენილებით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესი"-ს მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმაროს" (ს/კ - 441993648) სარგებლობის უფლებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დ.ჩოხატაურში დუმბაძის ქ.N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 31.90 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი - ღირებულებით - 3131.60(სამი ათას ოცდათერთმეტი და სამოცი) ლარი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.072.01.505).
2. სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმარო"-ს (ს/კ-441993648) ადმინისტრაციის განთავსება და მისი მოვლა-პატრონობა.
3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა განხორციელდეს საქარტველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს უზუფრუქტუარის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირად არსებობის პერიოდით.
5. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას (თამაზ ჯინჭარაძეს) მხარეთა შორის გასაფორმებელი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მომზადება.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე-ჭავჭავაძის ქ.N4
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტი ბახმარო"-ს (ს/კ - 441993648) 2013 წლის 20 მაისის N3 წერილი.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*